ხელშეკრულება ინტერნეტ მომსახურების შესახებ № 2

ქ. ზუგდიდი *16 თებერვალი 2013 წელი.*

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრი "ოდიში" (შემდგომში „შემსყიდველი/აბონენტი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ნინო მამფორიას სახით და მეორეს მხრივ, *შ.პ.ს. „იკერია ქსელი"* (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის გენადი შეროზიას სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს:

1.1.1 „შემსყიდველს/აბონენტს" ახალი თანამედროვე ტექნოლოგიის ADSL 2+-ის გამოყენებით ციფრული სააბონენტო ხაზის ორგანიზებას „აბონენტის" არსებული სატელეფონო წყვილის გამოყენებით.

1.1.2 „შემსყიდველს/აბონენტს" 54 ლარიანი მომსახურების პაკეტით.

1.1.3 „შემსყიდველს/აბონენტს" ქსელში ჩართვისათვის აუცილებელი აპარატურით (მოდემი, ფილტრი), რომელიც „შემსყიდველს/აბონენტს" გადაეცემა დროებით სარგებლობაში პუნქტ 5.2-ში მითითებული პირობებით.

1.1.4 „შემსყიდველს/აბონენტს" ინტერნეტით სარგებლობისათვის აუცილებელი კონფიდენციალური ინფორმაციით. მომხმარებლის მიერ სტანდარტული პაკეტისაგან განსხვავებული მომსახურების მიღების სურვილის შემთხვევაში, „მომწოდებელსა" და „შემსყიდველს/აბონენტს" შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება, რომლის პირობები განისაზღვრება მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად და რომელიც იქნება ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

1.1.5 ხელშეკრულების საგანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით , გამარტივებულო შესყიდვის საშუალებით სატელეფონო მომსახურეობა და სატელეფონო ნომერზე (250037) ADSL ინტერნეტ ქსელის (CPV კოდები: 64200000, 72400000, 72411000) მომსახურების შესყიდვა.

2. მომსახურების ღირებულება

2.1 „შემსყიდველს/აბონენტს" ქსელში ჩართვისათვის სავალდებულოა:

- აბონენტს არ გააჩნდეს სატელეფონო მომსახურების დავალიანება და არ მოეხსნას ტელეფონი.
- ტელეფონის ხაზის პარამეტრები უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ ნორმებს.
- ციფრული სააბონენტო ხაზი უნდა იყოს ინდივიდუალური სარგებლობის.

2.2 ინტერნეტის სააბონენტო შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს თვეში, ტელეფონის სააბონენტო გადასახადი 4 (ოთხი) ლარს. ტარიფის შეცვლის ღირებულება შეადგენს 10 ლარს, სულ მთლიანი ღირებულება, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს 658 (ექვსას ორმოცდათვრამეტი) ლარს.

2.3 მომსახურების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

2.4 უფასო კონსულტაციების მიღება და მომსახურე პერსონალის ადგილზე გამოძახება შესაძლებელია ტელეფონის ნომერზე (0215) 5 00 55.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 ციფრული სააბონენტო ხაზის (ე.წ. ADSL 2+-ის) მომსახურების ხარისხი შეესამება არსებულ სტანდარტებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

4.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო აგარიშსწორებით.

4.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველს/აბონენტს" განახორციელებს, ყოველთვიურად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქურის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

5.1 *„შემსყიდველი/აბონენტი" ვალდებულია:*

5.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

5.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელის" წარმომადგენელი დაუშვას მის ბალანსზე რიცხული მოდემის და ფილტრის დემონტაჟის მიზნით.

5.3 *„შემსყიდველი/აბონენტი" უფლებამოსილია:*

5.3.1 „მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;

5.3.2 „მიმწოდებელის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

5.3.3 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება;

5.4 *„მიმწოდებელი" ვალდებულია:*

5.4.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მომსახურება;

5.4.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

5.4.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან;

5.4.4 მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;

5.4.5 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

5.4.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

5.5 *„მიმწოდებელი" უფლებამოსილია:*

5.5.1 „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

6. შეტყობინება

6.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

6.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კანონმდებლობით, „მეწარმეთა შესახებ," „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ," „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებით და სხვა მოქმედი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობას მეურნე სუბიექტსა და მომხმარებელს შორის.

5.2 „შემსყიდველი/აბონენტი" პასუხსმგებელია „მიმწოდებლის" წინაშე დროებით სარგებლობაში გადაცემული მოდემის დაცვაზე და შენახვაზე. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის/აბონენტის" მიერ „მიმწოდებლის" აპარატურა იქნება დაზიანებული ან დაკარგული, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" მისი საბაზრო ფასი.

5.3 „შემსყიდველის/აბონენტის" მიერ დაკარგვის ან დაზიანების, აგრეთვე ოპერატორის წარმომადგენლის აპარატურასთან დაუშვებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველს/აბონენტს" შეუწყდება მომსახურების ხელშეკრულება და დაერიცხება სატელეფონო დავალიანების სახით მოდემის და ფილტრის ღირებულება, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 1.1.3. პუნქტით.

5.4 „მიმწოდებელი„ არ არის პასუხისმგებელი იმ ზარალზე, რომელიც შესაძლებელია მიაყენოს „შემსყიდველის/აბონენტის" მესამე პირს ციფრული სააბონენტო ხაზის გამოყენებით.

5.5 „მიმწოდებელი" არ აგებს არავითარ პასუხს იმ ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს „შემსყიდველს/აბონენტს" ან მის როგორც ინტელექტუალურ, ასევე მატერიალურ ფასეულობას გარე ქსელიდან მესამე პირების მიერ ორგანიზებულ წინასწარ განზრახული (ან შემთხვევით) ჩარევის შედეგად.

9. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

9.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

12.2 ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

12.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.

13.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

13.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან," ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს."

14. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა.ა.ი.პ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრი "ოდიში"	შ.პ.ს. „ივერია ქსელი"
საიდენტიფიკაციო კოდი 220413960	საიდენტიფიკაციო კოდი 202926076
მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ№87	მისამართი: ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №5ა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი"
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. №GE25LB0121137285443000	ანგ. №GE58TB50 8943608010000 5
ცენტრის დირექტორი: ნ. მამეურია	*შ.პ.ს. „ივერია ქსელი"-ს დირექტორი: გ. შეროზია*